№ 11-12, თბილისი, 1943 წ. აპრილი. გამოცემის წელი XX. გამოგცემლობა „კომუნისტი“. ფასი 1 მ.

ნ ი ა ნ გ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მ. ვადბოლსკისა

საერთო ძალღონით

კოლმეურნეს და ჩვენს მებრძოლს ზიარი აქვთ ლხენა, დარდი:
განადგურდეს ფაშიზმი და კვლავ ჩაყვაოდეს ჩვენში ვარდი.

ეს—კულტურულ მარცვლის თესვით ქვეყნის ძალას განამტკიცებს,—
ის კი—მამულს ასუფთავებს: კულტურის მტრებს ულეტავს ფრიცებს,

შეწყვეტილი დიალოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოა. რომის ქუჩები უკვე დაცარიელებულა და სიბნელეში ჩაძირულა. მოედნებზე სიჩუმეს დაუსადგურებია. მაგრად დახშულ ფანჯრებიდან შუქი არ გამოდის. კიდევ ცოტა ხანი და მოკვდება ქალაქი რომი, ეს ძველი რომის დიდების სავანე და „ახალს“ იტალიის უბედურებათა კერა.

ამ მყუდროებაში მთელ კილომეტრზე ისმის ტროტუარზე მარშით მიმავალ გერმანელ ჯარისკაცთა ნალიანი ჩუსლების ტყაპა-ტყაპი. ხანდაზმულად კი პოლიციელის სასტვენის ხმა გასწივის ქუჩიდან-ქუჩაზე, მას სხვა პოლიციელები ეხმაურებიან და რჩება შთაბეჭდილება, თითქოს წყვდიად ღამეში ტყეში ჭოტები გადასძახიან ერთმანეთსო.

პოლიციელების სასტვენს ყოველთვის ჩოჩქოლი მოსდევს: ფაცა-ფუცით იღებენ დარაბები და ბნელი სარკმლებიდან გადმოყოფილი თავები კანკალით კითხულობენ:

— რა ამბავია?

— საჰაერო განგაშია?

— სინიორ პოლისმენ, გავიქცეთ?

გადმოყოფილ თავებს თუთიყუშივით უპასუხებენ პოლიციელები:

— არა, ჯერ არ არის განგაში, დახურეთ დარაბები.

— მაშ ეს გაბმული სასტვენები?

— ეს ისე... ჩვენი მოკავშირე გერმანელების პატრული მიდის ქუჩაზე და ჩვენ ვუსტვენთ, რომ დავარწმუნოთ, ჩვენს აქ ყოფნაში.

და გადმოყოფილი თავები შეშინებული ბუზღუნით კვლავ მიიმალებიან დახურულ დარაბებს იქით.

აი, ამ მუსოლინური იდილიის ფონზე, რომის ერთერთ „კეთილშობილ“ ოჯახში, ნერვებაშლილი ცოლი სინიორა ბელლა პროზზა საყვედურით ეკითხება ქმარს:

— ერთი მითხარი რა ხარ შენ, მინისტრი ხარ თუ გუდურა?

— ვითომ რაო?—დინჯად მიუგებს ქმარი.

— არა, მაინც რა ხარ? მინისტრი თუ ძველი ლანჩა?

— მაინც რაზე მეკითხები?

— ეშმაკმა რომ იცოდეს შენი ყეყეჩი თავი, მე გეკითხები: მინისტრი ხარ, თუ იატაკის საწმენდი ჩვარი? ან იქნებ ძველი ცოცხი ხარ, ან გატეხილი ქოთანი, ჯანდაბას შენი თავი.

— მაინც რა გინდა?—გაკვირვებით მიუგებს „გატეხილი ქოთანი“.

— ის მინდა რომ თუ მინისტრი ხარ, გავლენაც უნდა გქონდეს.

— ვისზე?

— ვისზე და იმ დამპალ ჯირკზე.

— ეგ ვინღაა?

— ვინა და ის თქვენი „დუჩე“.

— მეტი რა გავლენა უნდა მქონდეს? განა არ იცი, რომ რასაც ვურჩევ, ყველაფერს მიჯერებს ხოლმე?

სინიორა ბელლა პროზზა უფრო მრისხანედ ეკითხება:

— მაშ ეს შენი ბრალი ყოფილა ბებერო ინდაურო? სწორედ ასე ვფიქრობდი და სხვებიც ამას მისაყვედურებდნენ, რომ შენი ბრალია და სხვა არაფერი; თუ ასეა..

— რა არის ჩემი ბრალი?

— ის, რომ ყველაფერში ჩამორჩენილი მაჩანჩალები ხართ მინისტრებიც და თქვენი დუჩეც. არა, რას აპარტყუნებთ ყურებს, რას უცდით? აგერ სულ რაღაც ერთ თვეში გებელსმა ორჯერ მოაწყო გერმანული სტალინგრადი, თქვენ კი დაგიღიათ ხახა და ბუზებსა ყლაპავთ.

„ბებერი ინდაური“ დიდაქტიკურ კილოზე მიუგებს:

— ჯერ ერთი, ჩემო ძვირფასო, ამ ზამთარში ბუზების ყლაპვა არ შეიძლება იმიტომ, რომ ისინი არ არიან, მეორეც ისა, რომ ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ?

— „რა უნდა გავაკეთოთ“?—ირონიულად გააჯავრებს ბელლა პროზზა.— ის უნდა გააკეთოთ, რომ თქვენც უნდა მოაწყოთ.

—რა უნდა მოვაწყოთ?

— რა და იტალიური სტალინგრადი.

— რას ამბობ, ძვირფასო? ჩვენ უნდა შეევეედროთ ღმერთს, რომ გადაგვარჩინოს მაგ უბედურებისაგან.

— რა უბედურებაა მერე ეგ? მაშ რატომ ტრაბახობს გებელსი?

— შენ არ გესმის ძვირფასო, რომ ეგ ტრაბახი წარმოადგენს ცემის დროს ისეთ ყროყინს, რომლის ხმაურშიც, ნაცემი ცდილობს დააყრუოს მის საფეთქელში გარტყმული სილის ტყლაშუნი. კერძოდ ამ შემთხვევაში, გებელსი ცდილობს დაუმალოს ქვეყანას ის უდიდესი ზარალი, რაც გერმანიის და ჩვენს დივიზიებს მოსდის რუსეთში.

— ესე იგი მაშ რა ყოფილა გებელსი?

— გებელსი? გებელსი ჯიუტი ვირია, რომელიც ყროყინით ცდილობს დაფაროს მარცხი.

— „მარცხი, მარცხი“—ბოროტი გაკაპასებით მიუგებს სინიორა,—განა გვაკლია მარცხი? განა ჩვენს მარცხს არ სჭირია დაფარვა? განა ვირობა ისე ძნელი საქმეა, რომ დუჩეს ეგეც არ შეუძლიან? კეისრობა ვერ შესძლო, ქვეყნის მართვა ვერ შესძლო, აბისინიის და საბერძნეთის გამკლავება ვერ შესძლო ნუ თუ ვირობაც არ შეუძლიან?

— არა, ძვირფასო, როგორ არ შეუძლიან, მაგრამ საქმე ის არის, რომ გებელსი სხვანაირი ვირია.

— რანაირი?

—იმნაირი, რომ მას სიცრუეში, უსინდისობაში, სიყალბის ჩადენაში უფრო მეტი ნიჭი აქვს, ვიდრე ჩვენ.

— მაშ თქვენ, ესე იგი ჩვენ ამაშიც უნიჭოები ვართ არა?—ღმერთო რა უბედურებაა ჩვენს თავს, რა ვქნათ?

ამ კითხვაზე დამამშვიდებელ პასუხს ამხადებს მეუღლე ანუ როგორც მას გაწიწმატებული სინიორა საალერსოდ უწოდებს—„იატაკის საწმენდი ჩვარი“, „გატეხილი ქოთანი“ და კიდევ სხვა „ღირსებებით“ შემკული მინისტრი, მაგრამ მომზადებული პასუხის გაცემას უკვე ვეღარ ახერხებს, რადგან ქალაქში იწყება საჰაერო განგაში: სირენების ღმუილი, პოლისმენების სტვენა. ფანჯრები იღება, ხალხი გარბის.

ცოლი აკანკალებული ხმით ეუბნება: გავიქცეთ, გავიქცეთ თავშესაფარში!

და ისინი ფაცი-ფუცით ჩარბიან კიბეზე
დიალოგი წყდება.

ფარსადანი

იტალიური ახალი ორმაგი გულაღვერია

ნახ. დონისა



„ფიურერი“— როგორ არის საქმე? გამოგზავნილია თუ არა 15 იტალიური დივიზია ალმოსავლეთის ფრონტზე საბჭოთა შეტევის შესაჩერებლად?

„დუჩე“— უკვე გაახლეთ, მეგობარო, მაგრამ სამაგიეროდ დაბეჯითებით გთხოვთ 25 გერმანულ დივიზიის რომში გამოგზავნას, უკმაყოფილებისა და მღელვარების ასაკვეთად.

•მკვდარი თავი—მეთაური

გაზეთი „ვენსკა მ.რგენბლადეტ“ იტყობინება, რომ გენერალი ჰეიკე ს. ს. დივიზიის „მკვდარი თავის“ კომანდირი მოჰკლეს საბჭოთა კავშირ—გერმანიის ფრონტზე.

გაზეთებიდან.

ჰეიკე რომ დაუნიშნეს
მეთაურად დიკიზიას,
მას უბრძანეს: „მკვდარ თავების“
შენ წაიღებ ფრონტზე სიას,

იცოდე კი—ფრთხილად გყავდეს,
ისე, როგორც თავის თავი,
არ დაჰკარგო ერთიც. თორემ
არ შეგრჩება ტანზე ტყავი.

მეთაურმა „მკვდრების თავებს“
ნომრებიც კი გაუკეთა,
მხოლოდ თავი მეთაურის
მკვდარ თავებში დარჩა კენტად.

და ჩაყარა ვაგონებში
დივიზიის მან თავები,
ფრონტზე კი კვლავ გადმოჰყარა,
ვით საბრძოლო მანქანები.

ამის შემდეგ წითლებმა ის
დივიზია ხელში იგდეს,
მკვდარ თავებში—ერთი თავი
წინ წამოდგა და მას ჰკითხეს:

თქვენ ვინა ხართ, აქ რომ ტირით
რა შეგემთხვათ საქმე ავი?
— მე გახლავარ მკვდარ თავების
მეთაური მკვდარი თავი.

ყუმბარა

ნახ. დ. რიონელისა



1

გერმანელი (იტალიელს და რუმინელს) — მეგობრებო, მოიცათ, წინ რათ მისწრებთ. ხომ, იცით, ნადავლი პირველ რიგში გერმანელებს გვეკუთვნის.

2

გერმანელი — კიდევ წინ მისწრებთ? როგორ ბედავთ?
იტალიელი და **რუმინელი** — ახლა მაინც გაგვიშვი წინ. ხომ ხედავთ წითელი არმია მოგვდევს, აქაც ხომ ნადავლი არაა გასაყოფი.

ფრიცების ბანაკში

— ჰერ პოლკოვნიკო, ჩემი ასეულის ჯარისკაცები პარტიზანების კვალს წააწყდნენ.

— ჩინებულია, საუცხოოა! ყოჩაღ! მერე?

— დიახ, ჰერ პოლკოვნიკო, ჩემი ასეულის ჯარისკაცები პარტიზანების კვალს წააწყდნენ... და უცბად რკალშემორტყმულნი აღმოჩნდნენ.

— ყოჩაღ, ჩინებულია, მერე?

— მერე, ჰერ პოლკოვნიკო, ნაწილი ამოჟლიტეს, ნაწილიც ტყვედ წაიყვანეს.

— ყოჩაღ, სად არიან შენი ასეულის ჯარისკაცები, რომ მადლობა გამოვუცხადო.

— აკი მოგახსენებ ჰერ პოლკოვნიკო, ნაწილი ამოჟლიტეს, ნაწილიც ტყვედ წაიყვანეს.

— ვინ?

— პარტიზანებმა, ჰერ პოლკოვნიკო.

მოქმედი არმია **ნიკო ლაზი**

ერთი ეპიზოდი

აქ მოხსენებული ფაქტი წარმოადგენს სინამდვილიდან აღებულ ერთ ერთ ეპიზოდს, ორიონის — ოლენის პარტიზანთა რაზმის მიერ წარმოებულ ბრძოლებიდან,

სკვანჩესბერგი — პოლკოვნიკი
გერმანელთა ჯარების
ცეცხლს აფრქვევდა გაბრაზებით
კუშტი, მიუკარები,

ლეიტენანტს უყვიროდა:
ბრაზი მახრჩობს! მრცხვენია,
პარტიზანთა ნაწილები...
განა მოსათმენია?!

მოვსპობ! მოვსპობ რომ არ დარჩეს
მათგან ერთი სინსილა!
დამიძახეთ აქ კაპიტანს!—
სკვანჩესბერგმა იწივლა.

შემოვიდა კაპიტანი
და მიიღო ბრძანება:
„აგრძნობინე პარტიზანებს
ტევტონთა მრისხანება:

გაუძეხი ას მეომარს,
გაქანდი გრიგალივით,
და მალულად პარტიზანებს
შემოერტყი რკალივით.

და აწვიმეთ ავტომატის
ტყვიის ბათქი—ცხპობელი
ამოხოცე! არ დასტოვო
მათგან ამბის მთხრობელი.

— არის! — უთხრა კაპიტანმა
და როგორც მზე ჩავიდა,
ასი კაცით პარტიზანთა
ბანაკისკენ წავიდა.

შემოარტყა ალყა ერთ ბორცვს,
სულ დასცალა წამალი.
მაგრამ იქ მან ვერ იპოვა
ვერავინ—დანამალი.

რომ ინათლა, უკან წასვლა
მან მეომრებს ანიშნა,
მაგრამ, ვაგლახ, ჰერ კაპიტანს
უმტყუნა ანგარიშმა:

პარტიზანთა რაზმებიდან
კაპიტანი ქებული,
თვით აღმოჩნდა რკინის სალტით
ალყაშემოვლებული

იხარიძე

ეღვა

პროტესტი

ბერლინი. გერმანელმა კაპიტანმა შოთმა პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ წითელ არმიას უმთავრესად ღამით მიაქვს გერმანიის ჯარებზე იერიშები. გერმანიის შტაბი მხარს არ უჭერს ამ პროტესტს რადგან დღით უფრო ძნელია ფრიცების დამალვა წითელ მებრძოლებისაგან.

შეჯიბრება

იძიდანვე. აქ მიღებული სარწმუნო ცნობების მიხედვით გაიმართა შეჯიბრება ფრონტიდან გაქცევის სისწრაფეში გერმანელებსა და რუმინელ ჯარისკაცებს შორის. ჯერჯერობით იმარჯვებენ რუმინელები; თუმცა შეჯიბრებაში გამოწვეული იყვნენ იტალიური ნაწილებიც.

ᲙᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲐ

ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲭᲣᲠᲩᲘᲡ ᲒᲐᲑᲬᲘᲠᲓᲐ. ᲒᲣ ᲞᲠᲝᲪᲘᲡᲘᲐ ᲒᲐᲜᲘᲐᲪᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲞᲝᲠᲝᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲜᲘᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲐᲠᲪᲘᲡᲐ ᲡᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲦᲘᲜᲓᲐ. ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲠᲔᲑᲝᲛᲔᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲯᲐᲮᲐᲠᲨᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲠᲐᲠ ᲩᲜᲝᲒᲐ.

— ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲠᲩᲘ ᲩᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

— ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲠᲩᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲙᲐᲠᲒᲘᲡᲐ!

— ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲐᲠᲒᲘᲡᲐ!

— ᲠᲐᲒᲝᲜᲛᲘᲗᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ!.— ᲒᲐᲜᲘᲗ-ᲓᲐ ᲐᲫᲘᲗ-ᲘᲫᲘᲗᲓᲐᲜ.

ᲕᲐᲠᲗᲐᲕᲘᲡ, ᲑᲐᲮᲐᲠᲘ ᲙᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲘᲝᲚᲘ „ᲮᲐᲓᲐᲒᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ". ᲔᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲚᲛᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲠᲘᲜᲘ ᲛᲘᲦᲔᲠᲓᲐᲜᲐᲒᲐᲜᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲡ, ᲭᲘᲠᲜᲝᲛᲘᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲜᲘᲮᲣᲚᲘ. ᲯᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲘᲡᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲘᲕᲘᲡ. ᲡᲘᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲘᲡᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲘᲕᲘᲡ. ᲛᲔ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲘᲡᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲕᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲮᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲒᲘᲠᲓᲐ. ᲑᲠᲚᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲬᲠᲘᲗ ᲐᲠ ᲩᲣᲥᲝᲓᲗᲐ ᲓᲔᲓᲐᲨᲘ ᲣᲚᲘᲡ.

— ᲡᲝᲠᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲘᲐᲠᲘᲚᲝ?— ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲛᲐᲡ.

— ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲪᲐᲠᲐᲯᲚ.

— ᲠᲐᲓᲔᲜᲓᲐᲜ ᲒᲐᲒᲘᲠᲔᲓ ᲑᲐᲮᲐᲠᲘᲡ?

— ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲯᲐᲠᲘᲐ.

ᲩᲜᲝᲒᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲮᲔᲑᲔᲓ?

— ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲯᲐᲠᲘᲐ.

ᲡᲘᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲘᲡᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲐᲯᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. „ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲠᲔᲚᲘ ᲯᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲘᲡᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲕᲐ ᲓᲐ ᲘᲠᲩᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲐ".

ᲡᲘᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲘᲡᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲠᲔᲑᲝᲛᲔᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲯᲐᲮᲐᲠᲨᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲠᲐᲠ ᲩᲜᲝᲒᲐ.

— ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲠᲩᲘ ᲩᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

— ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲠᲩᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲙᲐᲠᲒᲘᲡᲐ!

— ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲐᲠᲒᲘᲡᲐ!

— ᲠᲐᲒᲝᲜᲛᲘᲗᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ!.— ᲒᲐᲜᲘᲗ-ᲓᲐ ᲐᲫᲘᲗ-ᲘᲫᲘᲗᲓᲐᲜ.

ᲕᲐᲠᲗᲐᲕᲘᲡ, ᲑᲐᲮᲐᲠᲘ ᲙᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲘᲝᲚᲘ „ᲮᲐᲓᲐᲒᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ". ᲔᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲚᲛᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲠᲘᲜᲘ ᲛᲘᲦᲔᲠᲓᲐᲜᲐᲒᲐᲜᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲡ, ᲭᲘᲠᲜᲝᲛᲘᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲜᲘᲮᲣᲚᲘ. ᲯᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲘᲡᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲘᲕᲘᲡ. ᲡᲘᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲘᲡᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲕᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲮᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲒᲘᲠᲓᲐ. ᲑᲠᲚᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲬᲠᲘᲗ ᲐᲠ ᲩᲣᲥᲝᲓᲗᲐ ᲓᲔᲓᲐᲨᲘ ᲣᲚᲘᲡ.

— ᲛᲘᲜᲓᲐ ᲠᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲠᲩᲘ ᲩᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

— ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲠᲩᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲙᲐᲠᲒᲘᲡᲐ!

— ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲐᲠᲒᲘᲡᲐ!

— ᲠᲐᲒᲝᲜᲛᲘᲗᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ!.— ᲒᲐᲜᲘᲗ-ᲓᲐ ᲐᲫᲘᲗ-ᲘᲫᲘᲗᲓᲐᲜ.

ᲕᲐᲠᲗᲐᲕᲘᲡ, ᲑᲐᲮᲐᲠᲘ ᲙᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲘᲝᲚᲘ „ᲮᲐᲓᲐᲒᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ". ᲔᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲚᲛᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲠᲘᲜᲘ ᲛᲘᲦᲔᲠᲓᲐᲜᲐᲒᲐᲜᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲡ, ᲭᲘᲠᲜᲝᲛᲘᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲜᲘᲮᲣᲚᲘ. ᲯᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘᲗ

ნახ. მ. ვადბოლსკისა



შეთხელდნენ დუჩეს რაზმები, გაწყდნენ დამპყრობთა ხროვანი,
ბოლოს შეპყარა ალბანეთს „რაზმები“ „ქორფა“ ხნოვანნი
რომ ალადგინონ მათ რომის წარსული სახელოვანი
„მოხალისენი“ უწოდა, „მოჯარდა“ ორი მხცოვანი.
წინ დაუყენეს გუშაგი, დაუბრეცია თვალები,
მხნედ იცავს რომ არ „განთესოს“ მან „იმპერიის ძალები“.

(იგავი)

მუნიან ყვავს ეპოვნა სადღაც ყველის ნაჭერი
და ის ჩუმად, კუთხეში შეეჭამა—ერჩივნა.
ასე როდი მოიქცა იგი ყვანჩალა შტერი,
გადასწყვიტა ტრაბახით თავი გამოეჩინა.
ხესთან ფრიცი შენიშნა, ძირს თავი რომ დაჰხარა:
ის ფერდებჩაცვენილი მელას ჰგავდა ფერითა;
ფრიცმა ყველი რომ ნახა, ბევრი აღარ ახანა,
და ყვავს „შეეხმაურა“ ავტომატის ჯერითა.
მშიერ ფრიცის სიხარულს აღარ ჰქონდა საზღვარი:
ყველთან ერთად, ზღართანით ძირს დაეცა ყვანჩალაც;
ეცა ფრიცი ისე, რომ სიკვდილიც არ აცალა
და უცბად გადასანსლა მან ის ყვავი საწყალი.

—

ალბად მკითხველი იტყვის „აქ მორალი რაშია?
იგავი ხომ ჩვენც ვიცით იმ ნაჭერი ყველისა:
იქ კრილოვი გვიხსნიდა ქარაგმების ხვაშიადს—
ყვავის მოკლე ჭკუას და ცბიერებას მელისას.
აქ კი ყვავს რატომა ჰკლავთ, რა აზრით და რა მიზნით?“
მოითმინეთ მკითხველო, ჩვენ ყველაფერს აგიხსნით.
აქ მორალი მარტივი არის ფრიცებისათვის:
ბილწი არამზადები რომ მოგვეჭრნენ ოჯახში—
ჩვენი დოვლათისათვის, ჩვენი მიწებისათვის,
მსუქან შაშხის მდომელნი ჩავკარეთ იმ ყოფაში,
რომ სანატრი გაუხდათ მუნიანი ყვავები,
მაგრამ ყვავის ჭამაშიც ოხრად რჩებათ თავებიც.

ი. სვენი

გავიხსენოთ

(კომენტარიებით)

„მე მინდა ალვზარდო მკაცრი, წამგლეჯი, შეუბრალებელი ახალგაზრდობა. ის უნდა იყოს როგორც თავაშვებული, შემტევი, გაუმაძღარი მხეცი“.

(ჰიტლერი)

ობერ ბანდიტს განეზრახა
ბანდიტების აღზრდა,
და ებრძანა: ჩემისთანა
უნდა ახალგაზრდა!

უსინდისო და ვერაგი,
რომ მხეცს იგი გავდეს,
თუ დასჭირდეს თავის დედას,
მამას, და—ძმას კლავდეს.

არიელი „ზეკაცია“
მას არ ცხია კაცის,
ჰუმანიზმი შეურაცყოფს
ახალგაზ-და „ნაცისტს“.

ობერ ბანდიტს შეუსრულეს
ეს განზრახვა მისი
და აღზარდეს ბანდიტები
„ფიურერის“ ღირსი.

ჰაილ ჰიტლერ! გაჰყვირიან
მთვრალნი ხალხთა სისხლით:
ჯერ მსოფლიოს მოვსპობთ, შემდეგ
დალუპვისგან ვიხსნით!

ქიშვარდი

ბუქარესტის სამკერვალო აფეღიეში

ნახ. ი. განფისა

„კროკოდილიდან“



— თქვენ მთლიანად გაგიფუჭებიათ მუნდირი, ფრონტზე მივდივარ, ასეთი ვიწრო სახელოები რომ მოგიკერებიათ, როგორ ავწიო ხელები მაღლა?

საფრანგეთის ქალაქებში

საფრანგეთის ქალაქებში გესტაპოელები ატარებენ მასიურ ჩხრეკას ტრამვაებში, რკინისგზის სადგურებში და სხვ. ისინი ნადირობენ ახალგაზრდა ფრანგებზე, რომელნიც გაურბიან გერმანიაში გაგზავნას შრომითი ვალდებულების მოსახდელად.

გაზეთებიდან

ნახ. **დონისა**

— **წამოდი, ტრამვაით წავიდეთ! ფეხით ხომ დაგვაგვიანდება დაწესებულებაში მისვლა!**
— **არა, ძმაო, მირჩევნია დავიგვიანო სამსახურში, სამაგიეროთ შინ მშვიდობით დავბრუნდე.**
— **??**
— **თუ ტრამვაიში დაგვჩიხეს, გერმანელები პირდაპირ ბერლინისაკენ გამგზავნიან და ვინ იცის როდის დავბრუნდები მათი კატორღიდან.**

ᲓᲦᲔᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲡᲓᲒᲐ

ᲕᲔᲠ მიულერს ბედმა გაუღიმა. მას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ყუმბარამ მოაძრო ცალი ხელი და ცალი ფეხი სწორედ იმ დროს, როცა თავის სანგარში მჯდომი ფიქრობდა იმაზე თუ თავის სხეულის რა ნაწილი გაეხვრიტა შაშხანით, რათა გათავისუფლებულიყო ფრონტიდან.

ცალი თვალი მან უფრო ადრე დაჰკარგა, მაგრამ საექიმო კომისიაზე უთხრეს, რომ გერმანელ ჯარისკაცისათვის ორი თვალი დაუშვებელი ფუფუნებაა და ფუფუნებისათვის კი დღეს გერმანელებს არა სცალიათო.

მაგრამ ეხლა კი ჰერ მიულერი თავისუფალი იყო და დაბრუნდა თავის სამშობლოში. დაბრუნების მეორე დღეს მას მოაგონდა, რომ ხვალ მისი დაბადების დღე იყო და გადასწყვიტა გადაეხადა დღეობა და აღენიშნა თავისი სამშობლოში დაბრუნება.

დანიშნულ დღეს საღამოსთვის თავი მოიყარეს სტუმრებმა, პირველად მოვიდა ყოფილი ეფრეიტორი შმუტიგი, უფრო სწორად რომ ვთქვათ ის მცირე ნაწილი, რაც მისგან დარჩენილიყო მოიტანა მისმა ცოლმა ეტლით, როგორც კი შემოიტანეს ოთახში შმუტიგი, მან მაშინვე დაიწყო ექიმების ლანძღვა გინება. ის ამტკიცებდა, რომ ოპერაციის შემდეგ ექიმებმა, შეცდომით სწორედ ის ნაწილი დატოვეს პალატაში, რომელიც უნდა გადაეგდოთ და ნაწილი რომელსაც უნდა განგრძო არსებობა ეფრეიტორ შმუტიგის სახელწოდებით,—გადააგდეს.

როცა სტუმრები შეიკრიბნენ, გამოირკვა, რომ ყველა შვიდ მამაკაცზე მოდიოდა რვა ხელი, ცხრა თვალი და თხუთმეტი ფეხი. აღნიშნულ თხუთმეტ ფეხში ორი ნამდვილი იყო, ერთი ზედმეტი კი იყო პროტეზა, რომელიც სტუმრებმა კოლექტიურად მიუძღვნეს მედღეობეს.

მოუსხდნენ თუ არა სტუმრები სუფრას და დაიწყეს ნახერხისაგან გაკეთებული ნამცხვარის ჭამა, ოთახში შევიდა ს. ს.-ელი ოფიცერი და მკაცრად განაცხადა.

— რას დღესასწაულობთ აქ, ბატონებო და ქალბატონებო?
— ჩემი დაბადების დღეს! ხმის კანკალით წარმოსთქვა მიულერმა.
— ძლიერ საეჭვოა,—თქვა ს. ს.-ელმა—რომ თქვენ ამისთვის აირჩიეთ გლოვის დღე, რომელიც გამოაცხადა ფიურერმა იმის გამო... რომ... ჩვენმა ჯარმა განიცადა უმნიშვნელო მარცხი სტალინგრადთან. იქნებ თქვენ თქვენს დღეობას იმიზეზებთ და დღესაწაულობთ—რუსების გამარჯვებას? ერთი სიტყვით, მოიკარით თქვენი ფეხი და გამომყევით...

...ორი კვირის შემდეგ მიულერი გაათავისუფლეს ციხიდან, მაგრამ ჩამოართვეს პირობა, რომ თავის დღეობას შემდეგში გადაიხდიდა გერმანიისათვის საკეთილდღეო პირობებში.

როცა შინ დაბრუნდა და გაზეთებს გადახედა, მან დაღონებულად უთხრა ცოლს:

— ვშიშობ, რომ ჩემი დღეობის გადახდა საერთოდ შეუძლებელი იქნება. მაშინ სტალინგრადი იყო, გუშინწინ კრასნოდარი, გუშინ—ნოვოჩერკასკი, დღეს—როსტოვი. საგანგებოდ ყოველდღე ახალ-ახალი გამარჯვებები აქვთ რუსებს,—ასეთ პირობებში როგორღა შეუძლია გერმანელს გადაიხადოს თავისი დღეობა.

Ა. Ш.-Ი

ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ᲕᲔᲫᲔᲑ გამოსავალს უიმედო მდგომარეობიდან. **მრჩეველებმა მიმართონ გერმანიის არმიის უმაღლეს სარდლობას.**

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘᲐ ყოველგვარი იმედი ომში გამარჯვებისა. მისამართი: **ბერლინი, ფრიდრიხშტრასსე—გებელსს.**

ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲡ—და ამასთანავე მეტად მწარე გაკვეთილებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ღებულობს—**ჰიტლერი.**

ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲡ. ავეჯს, ძვირფას ნახატებს, ანტიკვარულ ხაგნებს—განუსაზღვრელი რაოდენობით ვიტაცებთ. მისამართი **გერმანიის № მსროლელთა პოლკის სარდლობა.**

ᲘᲮᲕᲔᲑᲘ სტანდარტული წარმოებისა ბითუმად. შეიძლება ცალობითაც. მისამართი: **ბერლინი, იმპერიის ახალი კანცელარია—პროპაგანდის სამინისტრო.**

ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

დოქტორ გებელსის ლექცია თემაზე: „რატომ ვერ ბედავენ ინგლისელები ჩვენს დაბომბვას“—გადადებულია განუსაზღვრელ დრომდე, ვინაიდან ჰაერში უკვე გამოჩნდნენ ინგლისელთა ბომბდამშენები.

ᲣᲛᲝᲙᲚᲔᲡᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

— საინტერესოა, არიან თუ არა აქ რუსი სნაიპერები?..
—სთქვა ჯარისკაცმა ჰანს კაპუტლიხმა და ამოჭყო თავი სანგრიდან. განსვენებული 26 წლის იყო.

ᲡᲐᲮᲘᲣᲐᲗᲝ ᲤᲚᲘᲠᲯᲘ

ნახ. **მ. ვადბოლსკისა**



„ქალბატონის“ ყოფა-ქცევა
დღეს თუმც არის მეტად მჩატე,
მაგრამ მალე დამძიმდება,
ეს ფიქრები ეჭვს არ ბადებს.

43-48

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ა. კანდელაკისა

თვითთონვე ემწარებაო

ანუ გებელსის სამზარეულოში შეხანხლული „გერმანული“ სტალინგრადი

გებელსი: ფიურერ, გასინჯეთ გემო, ახალი რეცეპტით მომზადებული კერძია!
ჰიტლერი: მაინც მწარეა, ენა დამწვა.

სარედაქციო კოლეგია.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. **რედაქციის მისამართი:** ლენინის ქ. № 28 ტელ. 3-10-49

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1943 წ. 13/IV ამხ. ლ. ბ ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28 გამოც. № 14 „შეკ № 346 უე 1600